სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურთ ქარვასლა.
...ის-მომწერნი გაზეთის დასაკუთ-
...დ მიმართონ რედაქციას დილის
—8 საათამდე და საღამოს 6—...
...ან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

...რის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველდ. და
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 2 მან. 50 კაპ.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით
გაიხსნა ქალაქ ფოთში

## „საბუღალტერიო კურსები"

მსმენელები მიიღება ორივე სქესისა, არა ნაკლებ 16 წლისა. სწავლა გაგრძელდება ერთი წელი და ორი თვე. მთელი კურსის შესწავლა ღირს ასი მანათი.

სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდან.

კურსებზედ ასწავლიან:

1, საკომერციო არითმეტიკას შინაგან და გარეგან ვაჭრობისათვის.
2, ბუხჰალტერიის მარტივს, ორკეცს და ამერიკულ სისტემისას.
3, საკომერციო ეკონომიას.
4, სავაჭრო და სათამასუქო კანონმდებლობას.
5, საკომერციო კორრესპონდენციას.
6, სუფთა წერას და გაკრულ ხელს.

პროგრამმის და პირობების გაგზავნა შეიძლება პირველ მოთხოვნისათანავე.

კურსების დამაარსებელი კ. მ. გიგინეიშვილი.

(10—2)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



## ქეფირი და კუმისი



ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კორონას დიდის-მთავრის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში. აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—76)
ო. კორონა.

თავად-თქელაძეების წიგნის მაღაზიებში არის დანიშნული 20 აგვისტოდან, 20 სექტემბრამდის

## იაფი ვაჭრობა

იაფად იყიდება ყოველივე სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და განსაკუთრებით ქართული საკუთარი გამოცემანი.

ძმათა თავად-თქელაძეებისავე სტამბებში. იყიდება ერთი ნახმარი სტამბის დაზგა (Станокъ) 100 მანეთი.

იქვე იყიდება 24 ცინკის „კლიშე" „ვეფხის ტყაოსნის" სურათებისა, სთიურით, სულ 50 მანეთი.
(20—11)

## წიგნის მაღაზია

### მიხეილ გაჩეჩილაძისა

ქ. ყვირილაში მივიღეთ ახლად რუსული და ქართული სახელმძღვანელო წიგნები სამრევლო და სამინისტრო სკოლებში სახმარებელი.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული დიდძალი რვეულები საუკეთესო ქაღალდზე დახაზული ქართულის და რუსული წერისათვის.

ყოველივე სამოსწავლო საგნებს ვყიდით ძალიან დაკლებულ ფასად განსაკუთრებით იაფად ვუთმობთ სოფლის მასწავლებლებს.
(10—10)

კვირას, 26 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საგანგებო

## საზოგადო კრება

ქართველთა სამდებ-მიცემო ამხანაგობის

„შუამავლისა"

განსახილველია დროებითი გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების მდგომარეობის შესახებ.

წევრთ ამხანაგობისას ცალ-ცალკე ბარათები არ გაეგზავნებათ.

რადგანაც ეს კრება მეორეა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წევრი დაესწრობა მას, კრება კანონიერად ჩაითვლება.
(3—3)

ავადმყოფთ ყოველ დღე დებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

კუკიაში მადერის ქუჩა № 5.

ქ. ტფილისში
ექიმი
ნიკოლოზ ...მის ძე
## ერისთავი

შინაგანის დანერვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 11—12 1/2-მდე და საღამოს 7—8 საათზე მიიღებს.

მადერის ქუჩა, მამულოვის სახლი.
(10—5)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

ვადამდევ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. ზერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ძოწენი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია

Лѣчебница С. З. Топурія въ Кутаисѣ

ექიმი
## გ. ს. გენცენფილდი

ახლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.

არჩენს ავადმყოფებს ვერენიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).

## ახალი ამბავი

*** საპუბლიკო წარმოდგენას დრამატიული საზოგადოების გამგეობა გამართავს თურმე ოქტომბრის 3-სა, კვირა დღეს. ამ წარმოდგენისათვის უკვე მზადდებას შესდგომიან და ბევრნი თურმე ბილეთებსაც კითხულობენ.

*** მთავარ-მართებლის შემოწირულობა. ამ სამი დღის წინად მთავარ-მართებელს თუქურმიშაში ყოფნის დროს „გრუზინსკი“ პოლკისათვის შეუწირავს 55,000 მანათი, რომლი სსარგებლიდან ანგაიზდებიან ამ პოლკის აფიცრების შვილები.

*** ოპერის დაწყება. ეს მესამე დღეა რაც სახელმწიფო თეატრში ოპერების წარმოდგენა დაიწყეს ჯერ ხანათ ხალხი ნაკლებათ ესწრება

*** **ქუთაისი.** საზიზღარი მკვლელობა. 11 სექტემბერს, ღამის 9 საათზე, პოლიციის ქუჩაზე უმთავრესი პოლიციის მახლობლათ მოკლეს ჰონი მ. შავერდიანცი, თავის 18 წლის ვაჟის თვალის წინ. როგორც გადმოგვცეს, შავერდიანცის მომხდარი მკვლელობა ყოფილა შემდეგი: მთელ ჰონებში პირველი ადგილი სჭირებია ალებმიცემობაში შავერდიანცს და ბ. ოვანეზიანცს, რომლებიც მეზობლათ ყოფილან. შავერდიანცმა დაკეტა დუქანი და გაემგზავრა თავის 18 წლის ვაჟიშვილით თავის სახლისაკენ. გასცილდნენ უმთავრესის პოლიციის რამდენიმე საჟენის მანძილზე თუ არა, შემოეყარნენ წინ ბ. ოვანეზიანცის ბიჭი (რაჭველია) და სულიკოვი, (ორივე ჰონები და მცირე წლოვანები არიან და ოვანეზიანცის ბიჭი პირველათ შავერდიანცთან მდგარა, რომელთანაც ერთი წელიწადი უმუშავნია და შემდეგ როგორღაც მომხდარა და ოვანეზიანცს დაუქირავებია) რომლებიც ერთი მამას ეტაკა და მეორე შვილს. საბრალო მამას დაარტყეს თაში, რის გამოც თავიდგან ტვინი ამოჩუხჩუხდა და უგრძნობლად დავარდა და შვილმა ბევრი იბრძოლა თავის მოსისხლე მტერის წინაშე, რის გამოც ტანთსაცმელი ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯოდა, მაგრამ ბოროტ ჩამდენიდან თავი მაინც ვერ დაეხწია. ის ის იყო, რომ მამის მკვლელი გამეეშურა ხანჯლით ახლა შვილის მოსაკვლელად, მაგრამ აურია ღმერთმა თვალები და შავერიდანცის ვაჟიშვილის დასარტყმელი ხანჯალი, დაარტყა თავის ამხანაგს ლოყაში, რომელიც მძიმეთ დაჭრილი არის. როგორც იქნა. ეს უბედურებაში ხალხმაც გაიგო, რის გამოც ბოროტ ჩამდენები გაიქცნენ და შავერდიანცის ვაჟიშვილი გადარჩა სიკვდილს. სწორეთ საკვირველია, ასეთ ლაწირაკებიდგან ასეთი საზიზღარი ბოროტების ჩადენა, ხსენებულ დროს და ადგილს მითუმეტეს, რომ, მიუხედავათ უმთავრესი პოლიციისა, იმ ქუჩაზედ, სადაც ხსენებული მკვლელობა ჩაიდინეს, მარჯვნივ და მარცხნივ მცხოვრებლებით სავსეა. მაგრამ, არ შეგვიძლიან, რომ არ უსაყვედუროთ ქუთაისის დარაჯებს ცუღლუტობას და ამისათვის ურიგო არ იქნება, რომ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდნენ ვისგანაც ჯერ არს და ბეჯითათ დააყენებდნენ ქუთაისის დარაჯებს თავიანთ სამსახურზედ. ბოროტ ჩამდენნი შეიპყრეს.

ანტონასშვილი.

*** **მარადიდი** (აჭარა). მოუსავლობა. წელს დიდი მოუსავლობა არის მიწისა ზემო და ქვემო აჭარაში, მომეტებულათ უფრო არ მოვიდა სიმინდი, რომელიც შეადგენს პირველ საზრდოს და საცხოვრებელს მთელი ხალხისას. წლევანდელმა გვალვებმა იმოქმედეს და სრულათ ამოიწვა სიმინდები. მხოლოდ გონის ნაწილში, კახაბერის ველზე, კარგი მოსავალი არის სიმინდისა. უთუოდ მიზეზი ის არის, რომ ეს კახაბერი დაბალი ადგილი არის და ზღვის პირზედაც მდებარებას. ეს კახაბერი იწყობა თვით ბათუმიდან და ჭოროხის ღელესკენ მიემართება. კახაბერსა აქვს სიგძე ცხრა ვერსი და სიგანე ერთი ვერსიდგან ოთ. ხუთ ვერსამდე. ეს სწორე და ვაკე ადგილი უჭირავთ ქურთებს, რომელთაც ცოტა აფხაზებიც ურევიან. ამ მთელ კახაბერის მინდვრებს სთესამენ სიმინდით ქურთები, გამარგლიან გასწმენდამენ ხოლმე და რადგანაც სიცხის გამო აქ ზაფხულში დარჩომა არ შეიძლება, თითონ ცოლშვილით მიდიან მთაზე და სიმინდებს უტოებენ მოსავლელათ და საყურებლათ აჭარელებს, რომლნიც ქურთების მთიდან დაბრუნების შემდეგ (ენკენისთვეში) მოანტვრევენ. სიმინდს ერთათ და იყოფენ ასე: სიმინდის დამთესავი ქურთი იღებს მთელი მოსავლიდან ნახევარს მოსავალს და გამმარგვლელი აჭარელი მეორე ნახევარს; თესლსა და მიწის ლალასაც შუაზედ იყოფენ, ორივენი სანახევროთ იღებენ. ძრიელ ძმური გაყოფა არის მოსავლისა და კარგადაც არის მოწყობილი ეს საქმე.

წელს, როცა დიდი მოუსავლობა არის აჭარაში ძრიელ სარგებლობას მოუტანს კახაბერი თავისი სიმინდით აჭარელებს. აქეთ, მთელ ოლქში, იშვიათია, ძრიელ კაცის კვლა, ეხლა მხოლოდ, აქა-იქა, ძველათ გაქცეულ ყაჩაღებს იჭერენ. სისხლის ძიებაზედ შეშინდა ხალხი, მხოლოდ სისხლით ძიებას უფრო კურტუღლური ფერი მისცეს, მოკვლის მაგიერად სახლებსა და ფაცხებს უწვავენ ხოლმე ერთმანეთს, ხან და ხან სამსე სასიმინდესაც არ ინდობენ, და სიმინდითა სწომენ. ხალხი ძლიერ ბნელია და ხშირად ისეთ კაცს ნახამთ, რომ თავისი ველური აზრებით და შეხედვით გაგაკვირვებთ, გეგონებათ ეკვატორს ქვეშა სცხოვრობსო; რა საკვირველია დიდი განსხვავება არის ჩვენ ქართლელ და კახელ გლეხ და ამათ შუა მაგრამ უთუოდ ბევრი ისტორიული მიზეზები იყო, რომ ხალხი ასე უკან დარჩა. სკოლები და განათლება არის საჭირო ამ ხალხის გამოსაღვიძებლად.

ი. მახვილაძე

*** **ალავერდი.** (კახეთი). ალავერდობა. ალავერდის საკათედრო სობორო მდებარეობს ალაზნის ნაპირას თელავიდამ 18 ვერსის სიშორეზე. თავისი სახელი ამ სობოროს თავისივე მდებარეობისაგან მიუღია, რადგანაც ალვანი ძალიან ახლო იმყოფება ამისათვის ამ ეკკლესიას დარქმევია „ალავერდი“ ე. ი. ალვნის გვერდი და შემოკლებულად ალავერდი. ალავერდის საკათედრო სობორო თავისი სიდიდით მარტოთ-მარტო ერთ ძეგლს შეადგენს მთელ კახეთში; მისი დიდრონი კედლები და თაღები აშენებულია ძალიან მაღლა, ასე 30 საჟენამდის, მეტიც იქნება, სულ მაღლა ეკკლესიის შუა-გულ ადგილას აშენებულია გრძელ ფანჯრებიანი გუმბათი, საიდამაც ჩაშვებულია ჯაჭვი, რომელზედაც ჭალი ჰკიდია. როგორათაც უდიდესი ეკკლესია, ისეც მთელ შიგნით კახეთიდამ მშვენივრად მოსჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაცემულ ალაგას მდებარეობს. გარშემო ამ ეკკლესიას შემორტყმული აქვს განიერი კედლით და მსხვილი ბურჯებით გალავანი, რომელშიაც იკეტებოდნენ ხოლმე ბერები შიშიანობის დროს. სამრეკლო, რომელიც აშენებულია შესავალ კარებ მაღლა გალავანზე, აგრეთვე კარგა მოზრდილია ასე ერთი კალოს ოდენა ადგილი ეჭირება. ალავერდის ეკკლესიას სიმაღლესთან შედარებით სიგრძეც დიდი აქვს, 27 საჟენი და ამის ნახევარი კიდევ სიგანე. შიგნით ეკკლესიაში ექვსი უდიდესი სვეტი იმყოფება, რომლებზედაც გადაყვანილია ეკკლესიის თაღები და თაღებზე კიდევ გუმბათი. ეკკლესიაში შიგნიდამ ასავალი არის კიბით, რომელიც თლილი ქვისაა, მაღლა ორ კარგა მოზრდილ სამხროში, რომელ ერთშიაც ეკკლესია არის მოთავსებული (როგორც ეტყობა ეს იმისათვის არის, რომ ზამთარში ღვთის მსახურებას აქ შეასრულებდნენ, რადგანაც ამას ადვილად დაათბობდნენ) ხოლ
მეორე ცარიელია; ამ უკანასკნელ
სამხროდამ კიდევ ადის სულ ხვე-
ული კიბე მაღლა სამხროებში დ
დასამალებში, ერთი კიბე სულ
მაღლა ადის გუმბათამდე, საიდამა
მშვენიერი გადმოსახედია, აქედამ
მთელი კახეთი და ალაზნის მიდა-
მოები ისე გარკვევითა სჩანს, რო
გორც თქვენ თქვენი ხელის გუ
ლი დაინახოთ. ამ ეკკლესიას ორა
და ჰყოფს კარგა მაღალი, განიერ
და მასთან მშვენიერი კანკელი,
რომლის ხატებიც, როგორც სჩანს,
შემოწირულია მეფის შვილის
ირაკლი გიორგის ძისაგან, მოს
კოვიდამ. აგეთი უმშვენიერეს
ყოვლად შემკული და მასთან ე
თად ერთი უდიდესი სობორ
არის კახეთში, მაგრამ შიგ რ
შეხვალთ და მიიხედ-მოიხედამ
უცბათ დაჰფიქრდებით და ა
ჩვეულებისამებრ დაჰლონდებით
კიდეც. რა იქნება ამის მიზეზი?
ის რომ თქვენზე ვერ იმოქმედებ
კარგათ ეს ყოველ საქართველო
კუთხეში გათქმული უდიდესი კა
ხეთის ძეგლი რომ ასე თეთრ
არის გათხუპნული და იქ კიდე
ეტყობა კედლებზე წინანდელ
მხატვრობა, რომელნიც მოწმობენ
რომ ერთ დროს მთელი ამ სო
ბოროს კედლები სხვა და სხვა ვ
ზანტიური მხატვრობითა ყოფილ
[illegible]
ლად გადაკეთების დროს გად
კეთებლებს თავიანთი გონები
ისე უსჯიათ რომ წაეშალოთ ე
გამამშვენიერებელი უწინდელი მხა
ტვრობა და მის ნაცვლად თეთრ
კირით გაეთხუპნათ. ამ სობორო
კიდევ ბევრი რამ აქვს შესანიშ
ვი: წმინდანებით, განძეულობი
სასწაულ მოქმედებით, ამშვენებ
ლით, აქ განსვენეუბლ წმინდ. და სხვ
მაგრამ ეს მერმისთვის იყოს.

ალავერდის საკათედრო ტაძრი
დღეობა არის 14 სექტემბერს, ამაღ
ლებას პატიოსნისა და ცხოველ-
მყოფელისა ჯვრისა, უფლისა ჩვე-
ნისა იესო ქრისტესი, რადგანა
აქ იმყოფება ნაწილი ცხოველ
მყოფელისა ჯვრისა მოტანილი
იერუსალიმიდან. ეს დღეობა ის
თი განთქმული არის, არა მარტ
კახეთ ქიზიყში, არამედ მთელ სა
ქართველოში და ისეთი დღეობ
იცის, რომ არა მგონია ბადალ
ჰყავდეს სადმე. ეს დღეობა იწყებ
ერთი კვირის წინ და გრძელდებ
რამდენიმე კვირა. წელს, როგორ
სხვა უიმისოდ ერთი კვირის წი
დაიწყეს აქ მოსვლა სხვა და სხვ
მოვაჭრეებმა, ყოველ მხრიდან მოჰ
ქონდათ თავთავიანთი ნაწარმოე
ნი, რომ გაეყიდნათ. მთელი თელ
ვის მოვაჭრენი იყვნენ, დერ
ციკებს, ხარაზებს, სირაჯებს
ჰონებს და მიკიტნებს მოეტანა

თავიანთი საქონელი გასასყიდათ, ზოგან კი ბაყალნი მოსულიყვნენ ამიტომ, რომ ევაჭრნათ ყველი და ერბო; ამათ გარდა მთელი თუშეთი და ფშავეთი აქ იყო, რომლებსაც ჩამოეტანათ ყველი, ერბო და ოთხფეხნი საქონელი გასასყიდათ. აგრეთვე ბევრნი იყვნენ საქონლის სასყიდლათ ბარის სოფლებიდანაც; ერთი სიტყვით ეს დღეობა წარმოადგენდა დიდ იარმუკობას, სადაც გაცხარებული ვაჭრობა იყო. ვაჭრობა დაიწყო წინა დღიდან და მეორე საღამომდის არ შეწყვეტილა. მოტანილ საქონელთა შორის ყველაზე მეტი ყველი გასაღდა ამისათვის, რომ ამ მიზნით ბევრნი იყვნენ მოსულნი, როგორც თელავიდან ისე სიღნაღიდან. ვაჭრობა შესწყდა ბინდისას მეორე დღეს, და კადაიდო მეორე სწორამდის.—მოვაჭრეებ გარდა აგრეთვე ბევრნი იყვნენ მლოცველნიც, ნამეტნავად ქიზიყიდამ. მთელი ქიზიყის სოფლებიდან იმდენი იყვნენ და ამოდენა ადგილზე იყვნენ დაბანაკებულნი, რომ გეგონებოდათ მთელი ქიზიყი აყრილა და აქ გადმოსახლებულაო; კიდევ ბევრნი ჩამოვიდოდნენ, მაგრამ იციან რომ ვერ დაეტევიან ამ რამდენიმე დესეტინა ეკკლესიის მინდორზე და ამისათვის ზოგი სწორისათვის და სწორის სწორისათვის სდებს წამოსვლას დღეობაში. [illegible] აგრეთვე ბევრნი იყვნენ საქეიფოთ ა დროს გასატარებლად და თელავიდამ ხომ სათქმელი აღარ არის: 1 სექტემბერს თელავში რომ შემოჰსულიყავით, გეგონებოდათ მთელი თელავი გახიზნულაო, ისე იყო დაცარიელებული. თელავიდამ და კახეთიდამ ბევრნი იყვნენ მოხელეები და კნიაზები, რომელთაც გამართეს დროს გასატარებლად ქეიფობა და რომელიც გაგრძელდა ზურნა-დაფით რამდენიმე საათი. სასიამოვნო ეს არის, რომ ამოდენა ხალხში არაფერი უბედურება არ მომხდარა და არც არაფერი დაკარგულა, თუმცა მთელი ტფილისის და თელავის მეარღნეები და კინტოები აქ იყვნენ და სცდილობდნენ რომ როგორმე ესარგებლნათ, მაგრამ მაზრის უფროსის და ბოქაულების სიფხიზლემ, რომლებსაც ბლომათა ჰყავდათ ჩაფრები და სოფლებიდამ ყარაულები იმედი გაუცრუვათ. ეს დღეობა იმით უფრო იყო შესანიშნავი, რომ აქ ბრძანდებოდნენ მათნი ყოვლად უსამღვდელოესნი ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი და გორის ეპისკოპოსი ლეონიდე, რომელნიც მწირველნი ბრძანდებოდნენ და რომლის დროსაც გალობდნენ ორი მგალობელთა გუნდი ერთი თელავის სასულიერო სასწავლებლისა და მეორე მღვდელ-დიაკვნებისა. რადგანაც დიდი ხანია რაც მლოცველთ არ უნახამთ ეპისკოპოსის წირვა ამისათვის აქ მომსვლელ, ძრიელ ასიამოვნა მათი მეუფების წირვამ.

განდევნილი

*** **დ. ოზამჩირე.** აფთიაქარის შეურაცხყოფა. მეორე სალაპარაკო ოჩამჩირელებისა ის არის, რომ კოდორის ნაწილის უფროსის მოენე ტატავ შლატტერმა ხელით შეურაცხყო აფთიაქარი ი. კაცინსკი. შლატტერის თქმით, ღამე ერთად მოვდიოდით და ლაპარაკი გვქონდა მიწის (უჩასტკების) ჩამორთმევაზე. ერთი-მეორის წინაამდეგ ვლაპარაკობდით. უცბად მომივარდა და შემომყვირა: «всѣ туземцы мошенники»-ო და ხელი მკრა, მეც ვერ მოვითმინე და ხელი ვკარ, ის დაეცა. (შლატტერი დედით აფხაზია, მამით შვეიცარიელი) საქმე სასამართლოში გაირჩევა 15 ოქტომბერს, სიმნამდვილე იქ გამოაშკარავდება. მხოლოდ შლატტერი ცნობილი იყო, როგორც უწყინარი და ყველასგან კარგად მიღებული ცოლშვილიანი კაცი.

— დეპუტატების დამტკიცება. არც ოჩამჩირელებს გაუღიმა ბედმა, თუმც 28 ივნისს ახალი დეპუტატები აირჩიეს, მაგრამ დამტკიცებულნი იქმნენ ისევ ძველები. ნეტავ რა საჭირო იყო საარჩევანო დავიდარაბა?.

ოქუმელი.

## სამეურნეო ცნობა

### მოკლე დარიგება გაზის მოშენებაზე და ღვინის დაყენებაზე.

(შემდეგი *)

ამ შემთხვევაში მე მოვიყვან გამოჩენილ ღვინის მკეთებლების აზრებს. მაგალითად ბ. პიტიოტი და ბ. გელენტალი გვირჩევს ერთსა და იმავე ჰაჰაზე ორჯელ წყლის დასხმას და ორჯელ გაჰაჯვას, მაგრამ ბ. ბაბო გვირჩევს ერთსა და იმავე ჰაჰაზე ორჯელ-სამჯერ და ოთხჯერ წყლის დასხმას და გაჰაჯვას, მაგრამ ბ. ბერში გვირჩევს ერთხელ წყლის დასხმას და ერთხელ გაჰაჯვას, რადგანაც ამავე ბერშის სიტყვით პირველი ნაჰაჯი ღვინო სასიამოვნო სასმელი არისო და დიდხანაც ინახებაო. ამ საბუთების გასარჩევათ და დასამტკიცებლათ ურიგო არ იქნება, რომ ჩვენმა მემამულეებმა სცადონ ამისთანა წესით ღვინის დაყენება და შეადარონ ამ ზემოთ ხსენებულ ორივ გამოჩენილ და სწავლულ ღვინის მკეთებლების აზრები. აქ მომყავს ცნობები. ვისაც უნდა მიიღოს 16% ტკბილი, მაშინ 40 ვედრიან ჰაჰაზე დასხმულ წყალს უნდა მიუმატოს სამი ფუთი და 12 გირ. შაქარი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 16,5% | ტკბილს | 3 | ფ. | 16 | გ. | შაქარი. |
| 17,0% | — | 3 | ფ. | 20 | გ. | შაქარი. |
| 17,5% | — | 3 | ფ. | 24 | — | — |
| 18,0% | — | 3 | ფ. | 28 | — | — |
| 18,5% | — | 3 | ფ. | 32 | — | — |
| 19,0% | — | 3 | ფ. | 36 | — | — |
| 19,5% | — | 4 | — | — | — | — |
| 20,0% | — | 4 | ფ | 20 | — | — |

ამ ცნობებით ყველას შეუძლიან წესიერათ მოამზადოს პიტიოტისებური ღვინო.

ამით ვათავებ ღვინის მოვლადაყენებაზე. ახლა ვიტყვი ორიოდე სიტყვას მის ავადმყოფობაზე. ჩვენი მემამულენი დიდის ამბით მოელიან რთველს და იმას კი არა სცდილობენ, თუ რა დროს დაკრიფონ ყურძენი, ან რა წესით უნდა დააყენონ ღვინო. ჩვენს საქართველოში მომეტებულად ერთმანეთის ჯიბრით შემოუსვლელ ყურძენს ჰკრეფამენ, თანაც იმას გაიძახიან, რომ ყველაზე ადრე მე დავკრიფე ჩემი ვენახიო და იმას კი არ ეუბნება თავის მეზობელს, რომ ყველაზე ადრეც მე გამიფუჭდება ღვინოვო; რასაკვირველია ამას არ იკადრებს, თავის თავს არ დაიმცირებს, გარდა ამისა ზოგიერთნი პირნი, უფრო კი გლეხებში, მომეტებული ტკბილის მისაღებად, ყურძენს ჰკრეფამენ ავდრიან (ნესტიან) დღეს, ან კიდევ ტკბილში ურევენ წყალს; იქნება იმას წყლის გარევას არ ეძახიან ქართველი ხალხი, როდესაც კაცი როდესაც კაცი გეჯიდან ამოდის ფეხებს გეჯაშივე გადიბანს ხოლმე წყლით? რა თქმა უნდა ამისთანა ხარბი კაცი მალე იღებს ხელს თავის ღვინოზე. ნათქვამია „ბევრი მდომი ცოტასაც დაჰკარგავსო“. სწორედ ასეა ზოგიერთის მემამულის საქმეც. ჩვენს საქართველოში ბევრჯელ მოხდება ხოლმე, ახდიან საპალნიან ქვევრს, დაუწყებენ სმას ღვინო თანდათან აკლდება ქვერს, მაგრამ პატრონი კი ყურებსაც არ იბერტყამს, არ ჰფიქრობს, რომ ღვინოს გადაღება უნდაო. გადის დრო, გადის ხანი, ღვინო თანდათან აკლდება, ეცლება გემო, ფერი, და ზემოდანაც პრკეს იკიდებს, რომელიც მოკლე დროს განმავლობაში აძმარებს ღვინოს. აი ამ ზემოდ მოყვანილი მიზეზების გამო, ჩვენი მემამულენი ლაზხნობამდისინ ვერ ინახავენ თავიანთ ღვინოებს და მალე უფუჭდებათ. ამისათვის მე ვეცდები ამ წერილის შემწეობით გავაცნო ჩვენი მემამულენი, თუ როგორ გადაარჩინონ თავიანთი ღვინოები ქვემოთ მოყვანილ ავადმყოფობას. ღვინო ფუჭდება სხვა და სხვა მიზეზების გამო: მაგალითად: ძმარდება, მწარდება, გადაბრუნდება, მოლბება და ჰანგდება.

არჩილ დარეჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 918

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**პრეტორია.** „რეიტერის სააგენტო“. აქ გულ-მოდგინედ შეუდგნენ ბურგერებისა და არტილერიის გაგზავნას ფოლკსრუსტში. უკვე 26 მატარებელი წავიდა ჯარით სავსე. მთავარ სარდალი ჟუბერი ხვალ მიდის ფოლკსრუსტში. საერო კრებამ დაადგინა, რომ უცხო-ქვეყნელთა, რომელნიც ბურებს მხარს დაუჭერენ, სრული ამომრჩევლობის უფლება მიენიჭოთ. ნემენცებისაგან შემდგარი თავისუფალ მეომართა რაზმი, რომელიც 300 კაცს შეიცავს, უკვე გაემართა ფოლკსრუსტისაკენ. ჰოლანდიელთა რაზმი ორშაბათს წავა იქავ. მთავრობის ზოგიერთა დაწესებულება და უმაღლესი სასამართლო ხვალ დაიხურება და ამ დღიდგან სამხედრო დროის წესი იქმნება შემოღებული. შეჩერებული იქმნება აგრეთვე ფოსტაც უცხო ქვეყნებთან. ნაშუადღევს კრება ექმნება ერთად ორსავე რაადს.

**პარიზი.** უმაღლესის სასამართლოს კომისიის დელეგაციამ დაასრულა საბუთის ქაღალდების განხილვა და შეუდგა ჩვენების ჩამორთმევას. დერულედი სენატში მიიყვანეს. დერულედმა უარი განაცხადა, ჩვენებას არ მივცემ, ვიდრე საქმე საჯაროდ არ გაირჩევაო. შემდეგ დერულედი საპყრობილეში წაიყვანეს.

**ვენა.** „ვოლფის სააგენტო“. ბრძანება იქმნება გაცემული, რომ გრაფის კლარის თავმჯდომარეობით სამინისტრო შესდგეს.

**ლონდონი.** მინისტრთა საბჭოს გუშინდელ გადაწყვეტილების შესახებ დაჭეშმარიტებით არაფერი ისმის. „Standard“-ის სიტყვით, ტრანსვაალში გასაგზავნი ნოტა საბოლოოდ ჯერ არ იქმნა შედგენილი. პარლამენტი მოწვეულ იქმნება არა უგვიანეს ოქტომბრის მესამე კვირისა.

**სტამბოლი.** ოფიციალურის ცნობებით, მიწის ძვრის დროს აიდინის ვილაეტში დაიღუპა 783 კაცი, დაშავდა [illegible]7 კაცი.

**სან სებასტ[illegible]ო.** კაბინეტი შესდგა ისევე ძველი მინისტრები დარჩნენ, გარდა პოლავიერისა, რომლის ადგილსაც დანიშნულ იქმნა ასკარრაგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პარიზი.** დღეს, ნაშუადღევს, უმაღლესს სამოსამართლოს კომისიამ ჩვენება ჩამოართვა ბრალდებულთ ბალიერსა და ბარილიეს. ამათ განაცხადეს, რომ პასუხს მხოლოდ უმაღლესს სასამართლოს უგებთო.

**პარიზი.** უმაღლესი სასამართლო. დაიწყეს ჩვენების ჩამორთმევა. დერულედმა განაცხადა, პასუხს არ ვაგებო და სთქვა, მე სასჯელი წინ-და-წინვე გადმიწყვიტესო. ხალხის დაუსწრებლად მე თავისს გამართლებას არ შევუდგებიო. ნაშუადღევს ლიუქსენბურგის სასახლეში მიიყვანეს ბალიერი თავისის ორის ვექილითურთ. როდესაც ბერანჟემ გამოაცხადა, რომ მხოლოდ ერთი ვექილი უნდა ახლდეს ბრალდებულსაო, ვექილებმა პროტესტი განაცხადეს და გავიდნენ. ბალიერს ისევე ეჭირა თავი, როგორც დერულედს, ბარილიეც არაფერს ამბობდა. როგორც ამბობენ, ბერანჟეს აზრად აქვს ახალი გამოძიება მოახდინოს რეილიის საქმის გამო.

# განცხადებანი


!!მიაქციეთ ყურადღება!!

## ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის ... სობრანიეს გვერდზე.

**მიიღეთ ჩაი** პირველი მოკრეფისა 1898 წლისა

მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად და ბითუმით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას ... აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და სათვალო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

საჩუქრად მიეცემა **ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნიშნობისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, ..., ოდესაში, ..., ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—73)



## подписная цѣна на газету „СВѢТЪ“
## „СЪ ПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ“

съ пересылкою и доставкою

**На четверть года:**

съ 1 января по 1 апрѣля . . . . . . . . . 2 р.
« 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . . .
« 1 іюля по 1 октября . . . . . . . . .
« 1 октября по 31 декабря . . . . . . .

**На полгода:**

съ января или съ 1 іюля . . . . . . . . . 4 —

**На девять мѣсяцевъ:**

съ 1 апрѣля . . . . . . . . . . . . . 6 —

**На годъ:**

съ 1 января . . . . . . . . . . . . . 8 —

**На иные сроки подписка не принимается.**

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

**Адресъ Редакціи:** С.-П.Б. Невскій, 138.

Редакторъ-Издатель **В. В. Комаровъ.**



# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.**

(100—86)



## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ
## НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ
## для самообразованія

VIII-й г. изд.

# МИРЪ БОЖІЙ

VIII-й г. изд.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и при томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія предполагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась» романъ А. Вербицкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артура» (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), разск. Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горькаго; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разсказы г.г. Бунина, Потапенко, Станюковича, Чирикова.

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» проф. Брандта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; «Чарльсъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», часть III П. Милюкова. «Александръ I и его время», А. Прѣснякова: «А. С. Пушкинъ» (юбилейная статья). Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Иванова; «Ада Негри», В. Фритче; «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. М. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Кржвицкаго; «Положеніе труда въ Англіи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ и эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ея настоящее и будущее, д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной философіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (Джонъ Рескинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, техники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайныхъ обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западной литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Текущія научныя новости. Библіографія. Новости иностранной литературы.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ 8 руб. о вс
Безъ доставки на годъ . . . . . . . 7 »
За границу на годъ . . . . . . . 10 »
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

| По полугодіямъ; | по третямъ года: |
| --- | --- |
| Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р. | Съ доставкой и пересылкой в города Россіи; |
| За границу . . . 5 р | въ январѣ . . . 3 |
| Безъ доставки по соглашенію конторой | » маѣ . . . 3 |
| | » сентябрѣ . . . 2 |
| | За границу: въ январѣ . 4 |
| | » » » маѣ . 3 |
| | » » » сентябрѣ . 3 |

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку безъ повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова.* Редакторъ *В. П. Острогорскій.*